ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #200

ქ. ბორჯომი **15 ივნისი 2023 წელი**

ერთის მხრივ **ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია,** მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5, საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961 (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის ოთარ არბოლიშვილის სახით

და მეორეს მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე ანა შაქარაშვილი,** მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის ქ. №128, ბ.45. საიდენტიფიკაციო კოდი: 24001045290; წარმოდგენილი მინდობილი პირის მამუკა სარალიძის სახით (2019 წლის 18 თებერვლის #190170918 მინდობილობა) (შემდგომში ,,მიმწოდებელი”)

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლი ა) პუნქტის და მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა **სხვადასხვა სამეურნეო საქონლის** (CPV 24900000; 31200000; 31500000; 31600000; 44300000; 44400000; 44500000) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **1 986 (ერთი ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი) ლარი და 70 თეთრი დღგ-ს გარეშე.**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ ,,ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი. (დანართი #1)
5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი) კალენდარული დღის** ვადაში.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
7.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთიანად მიღება-ჩაბარების აქტისა და ანაზღაურებისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს შესაბამის ინსტანციას ან საქმე განსახილველად გადასცეს არბიტრაჟს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
20.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი"

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5.
საიდენტიფიკაციო კოდი 226161961
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
სამსახური, სახაზინო კოდი 300629921
ბანკის კოდი TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი;

„მიმწოდებელი"

ი.მ. ანა შაქარაშვილი
ქ. თბილისი, წერეთლის ქ. #128, ბ.45.
საიდენტიფიკაციო კოდი 24001045290
ს.ს. "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
#GE17TB7486736010100041

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი
ოთარ არბოლიშვილი

ინდ. მეწარმე ანა შაქარაშვილის მინდობილი
პირი მამუკა სარალიძე

Municipality of Borjomi
Digitally signed by Municipality of Borjomi
DN: cn=Municipality of Borjomi, 2.5.4.97=NTRGE-226161961, o=••••••••••••••••••••, c=GE
Date: 2023.06.15 15:12:07 +04'00'

Mamuka Saralidze
Digitally signed by Mamuka Saralidze
Date: 2023.06.15 16:43:16 +04'00'

დანართი 1

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სილიკონის წებო 310 მლ	24910000	ცალი	2	15	30
2	სილიკონის წებო 280 გრ	24910000	ცალი	1	7	7
3	ავტომატური ამომთიველი 1P	31211310	ცალი	5	7,5	37,5
4	ავტომატური ამომთიველი 2P	31211310	ცალი	4	15	60
5	ელ. შტეფცელი ერთიანი	31224100	ცალი	2	4	8
6	ელ. ჩანგალი	31224100	ცალი	5	3,5	17,5
7	ელ. დამაგრძელებელი 3*3	31224810	ცალი	3	13	39
8	ელ. დამაგრძელებელი 3*5	31224810	ცალი	2	17	34
9	პროჟექტორი	31518600	ცალი	1	23	23
10	პროჟექტორი	31518600	ცალი	1	25	25
11	ჭერში ჩასასმელი ნათურა	31531000	ცალი	1	16	16
12	ჭერში ჩასასმელი ნათურა	31531000	ცალი	10	13	130
13	დიოდურუ ნათურა 32 w	31531000	ცალი	3	15	45
14	დიოდურუ ნათურა 9w	31531000	ცალი	90	7	630
15	დიოდურუ ნათურა 5w	31531000	ცალი	6	5	30
16	დიოდურუ ნათურა	31531000	ცალი	4	15	60
17	საიზოლაციო ლენტი	31651000	ცალი	8	2	16
18	ელ. სადენი 2*1,5	44321000	მეტრი	15	1,8	27
19	ელ. სადენი 2*2,5	44321000	მეტრი	35	2,8	98
20	ონკანის ნაწილი	44411000	ცალი	4	6,5	26
21	ონკანის ნაწილი	44411000	ცალი	3	11	33
22	ონკანი	44411100	ცალი	2	30	60
23	ონკანი	44411100	ცალი	1	38	38
24	უნიტაზის საფარი	44411720	ცალი	2	16	32
25	ელ სახრახნისი	44512800	ცალი	1	110	110
26	სახრახნისი (საჭრელი ქვა 125მმ)	44512800	ცალი	7	1,8	12,6
27	კარის საკეტი	44521110	ცალი	2	110	220
28	კარის გული	44522400	ცალი	10	9	90
29	შურუპი	44531400	ცალი	270	0,08	21,6
30	შურუპი	44531400	ცალი	35	0,3	10,5
						1986,7

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

06272378757719

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190170918

რეგისტრაციის თარიღი

18.02.2019 წ

ნოტარიუსი: მაია წიკლაური
მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის 55
ტელეფონი: 2 35-21-19

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ცხრამეტი წლის თვრამეტ თებერვალს მე, ნოტარიუსს მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომლიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №55, მომმართა მოქალაქე **ანა. შაქარაშვილმა**, როგორც ინდ. მეწარმე „ანა შაქარაშვილი"-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, შემდგომში „მარწმუნებელად" წოდებულმა, მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე, დავადგინე მარწმუნებლის უფლებამოსილება /თანახმად ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19016849, ამონაწერის მომზადების თარიღი 15/02/2019 16:51:15, ი/მ-ის მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №128, ბ. 45, ს/ნ 24001045290, რეგისტრაციის თარიღი 15/02/2019/. პირადობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა, ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შეშპარვია და კანონიდან ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა დავამოწმე სანოტარო აქტი. მას ასევე განვუმარტე, რომ ამ აქტით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება ვადის გასვლით, უფლებამოსილი პირის უარით, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, უფლებამოსილების გაუქმებით გამცემი პირის მიერ, უფლებამოსილების შესრულებით. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცხრამეტი წლის თვრამეტ თებერვალს მე, ქვემორე ხელისმომწერი ანა შაქარაშვილი, დაბადებული 26.05.1994 წელს კასპში, მცხოვრები ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №128, ბ. 45-ში, მისი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია 13IK27639, პირადი №24001045290, გაც. 06.05.2015 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, როგორც ინდ. მეწარმე „ანა შაქარაშვილი"-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, შემდგომში „მარწმუნებლად" წოდებული, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **მამუკა სარალიძეს**, დაბადებულს 04.04.1967 წელს, მცხოვრებს ქ. ბორჯომი, ბესიკის ქ. №13-ში, პირადი №11001003750. შემდგომში „რწმუნებულად" წოდებულს, იყოს ჩემი, როგორც ინდ. მეწარმე „ანა შაქარაშვილი"-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა დაწესებულება-ორგანიზაციაში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, მათ შორის სანოტარო ბიუროში, სსიპ იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო-საბაჟო პუნქტებში, პორტალში, ტერმინალში, საწყობში, /მათ შორის საწყობში დროებითი შენახვის, დროებითი დასაწყობების მიზნით/, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე, კონტროლის ზონებში, შეასრულოს სასაქონლო ოპერაციები, შეუზღუდავად აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში და ბანკში ან მათ სერვის ცენტრებში, მართოს და განკარგოს ჩემს სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიში, გახსნას ახალი ან დახუროს არსებული ანგარიშები, განახორციელოს საბანკო ოპერაციები /შეტანა, გატანა, გადარიცხვები, განაღდება, კონვერტაცია და სხვა/ უცხოურ ვალუტაში ან ეროვნულ ლარში, გახსნას, დაარეგისტრიროს და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით და ინტერნეტ ბანკთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციით, დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ ყველა დოკუმენტს, შეიტანოს დადებულ ან დასადებ ხელშეკრულებებში ცვლილებები, საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს დადებული ხელშეკრულებები, დადოს ახალი, განსაზღვროს ხელშეკრულებაში თანხა, ვადა და სხვა პირობები თავის შეხედულებისამებრ, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, განცხადებები, ხელშეკრულებები, ამონაწერები შესრულებულ საბანკო ოპერაციებზე, ნებისმიერი ინფორმაცია შეუზღუდავად, მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, ელექტრონული დეკლარირება, სალარო აპარატის რეგისტრაცია, რეგისტრაციიდან მოხსნა, შეკეთება და სხვა, გამოწეროს ელექტრონული სასაქონლო ზედნადებები, ინვოისები, უსრუნველყოს მოსაკრებლების, გადასახადების გადახდა, დადოს გარიგებები, შეიტანოს ჩემს მიერ აქამდე დადებულ და/ან დასადებ ხელშეკრულებებში ცვლილებები, საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს დადებული ხელშეკრულებები, დადოს ახალი, განსაზღვროს ხელშეკრულებაში თანხა, ვადა და სხვა პირობები თავის შეხედულებისამებრ, მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, გარიგებას. შეუზღუდავად აწარმოოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც დაკავშირებული იქნება ი/მ-ს საქმიანობის მართვასთან.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ინდ. მეწარმის საქმიანობის შეუზღუდავი წარმოებისათვის.
რწმუნებულის მიერ შესრულებული მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები ამ მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემს მიერ იქნება მოწონებული და უდავო.
მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
ეს მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს ხელზე.
გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხ. 31, პ. 7-ით 10 ლარი, მუხ. 39, პ. 1-ით – 2 ლარი, სულ 12 ლარი.
მინდობილობას დანართად ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19016849, ამონაწერის მომზადების თარიღი 15/02/2019 16:51:15 /ელექტრონული ასლი/.

წავიკითხე ანა შაქარაშვილი

ნოტარიუსი